№ 10.01.22/4 10 01 2022

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ რომ, შპს „ჯეუ გრუპს“ (ს/ნ 205251537), ქ.თბილისში, თვალჭრელიძის 4 შეს. №1, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 01.19.18.007.016) დაგეგმილი აქვს ასფალტის საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია.

შპს „ჯეუ გრუპი“-ს დაგეგმილი საქმიანობა მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 5.3 პუნქტით (ასფალტის წარმოება) გათვალისწინებულ საქმიანობას, ამიტომ დაგეგმილმა საქმიანობამ ამ კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად გაიარა სკრინინგის პროცედურა და სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 15 აგვისტოს №2-784 ბრძანების თანახმად, აღნიშნული საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

ვინაიდან, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს, მე-9 მუხლის, მე-7 პუნქტის: „თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.“ თანახმად, ძალადაკარგული გამოდის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 15 აგვისტოს №2-784 ბრძანება, გთხოვთ ძალადაკარგულად ან გაუქმებულად გამოცხადდეს ზემოაღნიშნული ბრძანება და მის მაგივრად განიხილოთ წინამდებარე განცხადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, წარმოგიდგენთ დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშს და გთხოვთ, გასცეთ სკოპინგის დასკვნა.

დანართი: 79 ფურცელი და shape ფაილები მატერიალური სახით CD დისკი.

პატივისცემით,
დირექტორი
ნინო კიკაბიძე

info@jeugroup.ge
შპს "ჯეუ გრუპი" ს/კ: 205251537 "Jeu Group" LLC I/D: 205251537
საქართველო, თბილისი 0171, 26 მაისის მოედანი N2, შენობა N1. მობ.: (+995) 599 21 22 00
26 May Square N2, Building N1, 0171 Tbilisi, Georgia; Mob.: (+995) 599 21 22 00